ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო | რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№13 (47) მარტი, 2006 წელი | ფასი 30 თეთრი


## საშველი არსაიდან ანუ ისევ ბნელა?!

ჩვენს რაიონში დღეები უფრო ნელა იცვლება, ვიდრე ენერგოკომპანიის ხელმძღვანელობა. ერთი მიდის, მეორე მოდის, მეორე მიდის, მესამე მოდის და ჩვენი აგრესიაც თანდათან იმატებს...

ახალი ხელმძღვანელი, ნინო ლიპარტელიანი, სულ რაღაც ოთხი დღეა რაიონში ჩამოვიდა და ზუსტად ამ დროიდან აღარ ანათებს ჩვენი ნათურები. მას ხალხის დაჟინებული მოთხოვნით ვესტუმრეთ და ჩვენი მოსახლეობის გულისწყრომა და სურვილებიც გადავეცით. ქალბატონი ნინო ფრიად დამაჯერებელი ლოგიკით, საქმეში ჩახედული ხელმძღვანელის ტონით გვისაბუთებდა ქვესადგურების გამორთვის სამართლიანობას. მან აგვიხსნა, რომ რაიონში 840 000 ლარის დავალიანება დახვდა, რომ თითოეულ ოჯახს იმდენი თანხა აქვს გადასახდელი, რამდენის გადახდის საშუალება მხოლოდ თითო-ორს თუ ექნება, რომ ჩვენს რაიონს მხოლოდ დეკემბრის თვეში შეუსრულებია მხოლოდ 80%-ით გეგმა, ხოლო დანარჩენ თვეებში კი 30%-ია, რომ 5 000 აბონენტიდან 1500-ია გადამხდელი (არადა ჩვენ სულ რაღაც გუშინწინ გვარწმუნებდნენ, რომ ცაგერის რაიონი რესპუბლიაში მეორე ადგილზეა თავისი წარმატებითო!?), რომ ჩვენს მიერ ჭიშკრებზე გამოტანილი მრიცხველები თავის მოტყუებაა და მაინც საერთო მრიცხველიდან უნდა ვიხდიდეთ თანხას, რომ შუქი მანამ არ ჩაერთვება წყალსადენს და საავადმყოფოს, სანამ ბიუჯეტიდან სოლიდურ თანხებს არ ჩარიცხავენ და ა.შ და ა.შ. დაუსრულებლად...

ჩვენთან ერთად სიმართლის გარკვევას ნაციონალური მოძრაობის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ბატონი ომარ ჭაბუკიანიც ცდილობდა, მაგრამ რომ იტყვიან რაც შევიტანეთ ენერგოკომპანიაში, სულხან-საბასავით, ისევ ის გამოვიტანეთ.

რა ღვთის რისხვა და გაუგებრობა ტრიალებს, ვერა და ვერ გავარკვიეთ. ფაქტი ერთია—არ გვექნება შუქი მანამ, სანამ არ გასწორდება ის უდიდესი დავალიანებები, რაც ჩვენმა დაუნდობელმა მრიცხველებმა ჩამოჰყარა და რასაც ჩვენ ზოგჯერ უყაირათოდ ვხარჯავთ.

მოდის ახალი, მოაქვს ახალი კანონი, მაგრამ კანონი, რომელის ასევე ადამიანების ხელითაა შექმნილი, ხოლო მოსახლეობის მოთხოვნა (ზოგჯერ სამართლიანიც!) პოლიციის გამოძახებით მთავრდება-ხოლმე...

მარინა სვანიძე

თამარ დავითულიანი



## ცაგერის რაიონის საკრებულოს გადაწყვეტილება

### 2006 წლის რაიონული ბიუჯეტის შესახებ

| ხარჯების დასახელება | შტატი | სულ ხარჯები | მათ შორის ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ხელფასი | დარიცხვა | მივლინება | ოფისი | კომუნალური | კვების ხარჯი | სამედიცინო ხარჯი | რბ. ინვენტარი | ტრანსპორტის ხარჯი | სხვა ხარჯები | სუბსიდია | კაპიტალური ხარჯი |
| საერთო ხასიათის სახელმწიფო მომსახურება | 59 | 273047 | 174373 | 34874 | 11200 | 11200 | 14600 | | | 1000 | 13300 | 4500 | | 8000 |
| რაიონული საკრებულო | | 1500 | | | 200 | 600 | 700 | | | | | | | |
| გამგეობა | 38,5 | 202678 | 132065 | 26415 | 7200 | 5000 | 10000 | | | 1000 | 11000 | 2000 | | 8000 |
| საფინანსო სამსახური | 11 | 39580 | 26650 | 5330 | 1800 | 4100 | 1000 | | | | 300 | 500 | | |
| კულტურის მმართველობა | 1 | 5100 | 3250 | 650 | 500 | 300 | 400 | | | | | | | |
| პრივატიზაციის სამსახური | 4 | 15899 | 10416 | 2083 | 900 | 700 | 800 | | | | | 1000 | | |
| არქივი | 4,5 | 3690 | 1992 | 398 | 300 | 300 | 700 | | | | | | | |
| დეპუტატის ბიურო | | 4500 | | | 300 | 200 | 10000 | | | | 2000 | 1000 | | |
| სამხედრო განყოფილება | 6 | 9082 | 2652 | 530 | 900 | 500 | 10000 | | | | 3500 | | | |
| სამობილიზაციო განყოფილება | | 1500 | | | | 500 | | | | | 1000 | | | |
| სახანძრო სამსახური | 26 | 31510 | 17592 | 3518 | 200 | 400 | 2000 | | | 1000 | 3500 | 3300 | | |
| შს რაიონის პოლიცია | | 5000 | | | | | | | | | | | 5000 | |
| სპორტული სკოლა | 19 | 16681 | 11151 | 2230 | 300 | 500 | 600 | | | 1000 | | 900 | | |
| მოსწავლეახალგაზრდობის სახლი | 20 | 13363 | 10136 | 2027 | | 300 | 600 | | | | | 300 | | |
| ჯანმრთელობის დაცვა | | 63560 | | | | | | | | | | | 63560 | |
| აქედან: საზოგადოებრივი ჯანდაცვა | | 18000 | | | | | | | | | | | 16000 | |
| სანიტარიული ზედამხედველობა | | 16000 | | | | | | | | | | | 1500 | |
| სამხედროში მიწერა | | 1500 | | | | | | | | | | | 500 | |
| გაწვევა | | 500 | | | | | | | | | | | 14800 | |
| შსს მკურნალი | | 14800 | | | | | | | | | | | 10760 | |
| რაისაავადმყოფო | | 10760 | | | | | | | | | | | 2000 | |
| ლაჯანის საავადმყოფო | | 2000 | | | | | | | | | | | | |
| სოც. დახმარება | 16 | 57167 | 9756 | 1951 | 1320 | 1340 | 1940 | 7000 | | | | | 33860 | |
| მ/შ სოც. განყოფილება | 11 | 10560 | 6800 | 1360 | 720 | 840 | 840 | | | | | | | |
| უმწეოთა სასადილო | 5 | 10307 | 2256 | 451 | | | 600 | 7000 | | | | | | |
| ვეტერანთა რაიონული საბჭო | | 800 | | | | | | | | | | | 800 | |
| ლტოლვილთა დახმარება | | 1500 | | | | | | | | | | | 1500 | |
| ომის ვეტერანთა დახმარება | | 17000 | 700 | 140 | 600 | 500 | 500 | | | | | | 14560 | |
| უხუცესთა დახმარება | | 500 | | | | | | | | | | | 500 | |
| ახალშობილთა დახმარება | | 1500 | | | | | | | | | | | 1500 | |
| უმწეოთა დახმარება | | 15000 | | | | | | | | | | | 15000 | |
| კულტურა | 114.5 | 115073 | 65436 | 13087 | 2550 | 3100 | 5800 | | | 2700 | 500 | 14300 | | 7600 |
| აქედან: მუსიკალური სკოლა | 16 | 23768 | 18432 | 3686 | 150 | 300 | 600 | | | | | | | 600 |
| სამხატვრო სკოლა | 7 | 8562 | 5760 | 1152 | 150 | 300 | 600 | | | | | 600 | | |
| კულტურის სახლი | 19,5 | 24644 | 9120 | 1824 | 1200 | 500 | 1500 | | | 1000 | 500 | 2000 | | 7000 |
| ბიბლიოთეკები | 24 | 17758 | 9840 | 1968 | 450 | 500 | 1000 | | | 500 | | 3500 | | |
| მუზეუმი | 12.5 | 10212 | 5760 | 1152 | 300 | 500 | 1000 | | | 500 | | 1000 | | |
| გალერეა | 6 | 4510 | 2508 | 502 | - | 500 | 600 | | | 200 | | 200 | | |
| სხვა კულტ. ორგანიზაციები | 29,5 | 25619 | 14016 | 2803 | 300 | 500 | 500 | | | 500 | | 7000 | | |
| კულტურის სხვა ღონისძიებები | | | | | | | | | | | | | | |
| სპორტი | | 20000 | 3000 | 600 | 4000 | 1200 | 1000 | 3000 | | 2000 | | 5200 | | |
| ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სამსახური | | 5650 | - | - | 250 | 200 | 200 | | | | | 5000 | | |
| სხვა ხარჯები | | 51508 | 133490 | 2668 | | | | | | | | 35500 | | |
| მ/შ ბანკის პროცენტი | | 8000 | | | | | | | | | | 8000 | | |
| ხანძარსაწინააღმდეგო სავალდებულო დაზღვევის ხარჯები | | 1500 | | | | | | | | | | 1500 | | |
| რეზერვი | | 16000 | | | | | | | | | | 16000 | | |
| გაზეთი „ახალი ლეჩხუმი" | 5 | 11928 | 7440 | 1488 | | | | | | | | 3000 | | |
| სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები | | 7000 | | | | | | | | | | 7000 | | |
| სახელფასო დავალიანებებისა და საბოლოო ანგარიშსწორებისათვის | | 7080 | 5900 | 1180 | | | | | | | | | | |
| ხარჯების ჯამი | | 663141 | 307436 | 61485 | 20720 | 19240 | 27740 | 10000 | | 7700 | 21800 | 69000 | 102420 | 15600 |
| თემის ბიუჯეტებზე გადასაცემი სახსრები | | 168859 | | | | | | | | | | | | |
| სულ ჯამი | | 832000 | | | | | | | | | | | | |

1. მიღებული იქნეს ცაგერის რაიონის 2006 წლის რაიონული ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში 332-0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები 181,0 ათასი ლარის, არასაგადასახადო შემოსავლები 139,8 ათასი ლარის, კაპიტალური შემოსავლები 21,2 ათასი ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები მიზნობრივი ფინანსური დახმარება 490,0 ათასი ლარის ოდენობით.

2. მიღებულ იქნეს ცაგერის რაიონის 2006 წლის რაიონული ბიუჯეტით გადასახდელების (ხარჯების) მოცულობა 332,0 ათასი ლარის მოცულობით ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით თანახმად №2 დანართისა.

27 იანვარი 2006 წელი

# საპენსიო ფონდი: დადებითი გარემო, არაერთი სიახლე და ოპერატიული მომსახურება

*სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ცაგერის ფილიალში ვართ. თვალს არ ვუჯერებთ, აქ იმდენი რამ შეცვლილა ვიზუალურად: ვათვალიერებთ ქათქათა კაბინეტებს თანამედროვე დგამ-ავეჯით, ფილიალის მოქმედ ფონდსა თუ არქივს, კომპიუტერის ოთახს და სხვა უახლეს ტექნიკას. ერთი სიტყვით, ისეთი დადებითი აურა გადმოვიდა, როგორ შეიძლება ფონდის ხელმძღვანელთა ძალისხმევა არ დავაფიქსიროთ. წარმოგვიდგენია, რა კმაყოფილი და დამშვიდებული წავა ამ კედლებიდან ნებისმიერი მთხოვნელი, მით უფრო საპენსიო უზრუნველყოფაში კანონით არა ერთი სიახლეა, არა ერთი სასიკეთო ინფორმაცია სულ პირველად დღეს ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან გაიგებენ. და რაც მთავარია, გულისხმიერი და ოპერატიული მომსახურება.*

*მოდით, ტრიბუნა დავუთმოთ ფონდის ცაგერის ფილიალის მთავარ სპეციალისტს ბატონ ჯონი ხალიანს:*

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ცაგერის ფილიალი განთავსებულია რუსთაველის ქუჩის №58-ში. პირველი სართულის მარცხენა ფლიგელში. შენობა იმყოფებოდა ქალაქის საკრებულოს ბალანსზე, ქალაქის საკრებულოსა და რაიონული გამგეობის დახმარებით „უზუფრუქტის" წესით უსასყიდლოდ გადმოგვეცა და შენობის იმ ნაწილს, რომელსაც 1982 წლიდან არანაირი რემონტი არ ჩატარებია, ფონდის გენერალური დირექციის კეთილი ნებით 2005 წელს ჩაუტარდა კაპიტალური სამუშაოები.

დღეის მდგომარეობით ჩვენთან მოსულ მთხოვნელს ერთი ლამაზი შენობა ხვდება ცაგერის ფონდის ფილიალის სახით. ფილიალი უზრუნველყოფილია კომპიუტერით, გენერატორით. კომპიუტერის მეშვეობით მოწესრიგებულია აღრიცხვიანობა. 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფილიალში აღრიცხვაზე იმყოფება 5292 პენსიის მიმღები.

ეს რაც მოგახსენეთ, ალბათ, ნაკლებად საინტერესოა პენსიონერთათვის. მათ სურთ იცოდნენ, თუ რა გაკეთდა რევოლუციის შემდგომ პერიოდში სოციალური პირობების გაუმჯობესებისთვის, რა კეთდება 2006 წელს და რას უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში ამ მიმართებით.

შევეხები იმ საკითხებს, რომლებიც აუცილებლად უნდა იცოდეს საზოგადოებამ. ყველას მშვენივრად მოგვეხსენება, რა მემკვიდრეობა დაგვიტოვა წინა ხელისუფლებამ. 14 ლარიანი პენსიები და ისიც წლების განმავლობაში გაუცემელი. ჩვენს რაიონში საპენსიო დავალიანება, ე.წ. „გაყინული" პენსიები შეადგენდა 242 618 ლარს, ამ დავალიანების ეტაპობრივად დაფარვის მიზნით 2004 წლის 1 მარტიდან დაიწყო პენსიებზე დანამატის სახით 3-4-6 ლარის გაცემა თვეების მიხედვით და ეს პროცესი გრძელდებოდა 2005 წლის იანვრამდე (ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდებით). მოგახსენებთ, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის დღიდან პენსიების გაცემა დაიწყო დაუგვიანებლად თვე-თვეში და ასე გრძელდება დღემდე. არც ერთ თვეში პენსიების გაცემაში ჩავარდნა არ გვქონია, პირიქით, 2005 წლის 1 იანვრიდან მინიმალური პენსია 14-დან 28 ლარამდე გაიზარდა. ამის არდანახვა, თუ მეტი არა, უგუნურებაა. სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე მეტყველებს ისიც, რომ 2005 წლის ივნისში დაიფარა წინა წლებში წარმოქმნილი საპენსიო დავალიანება 272618 ლარი, 2005 წლის ოქტომბერში დაიფარა აგრეთვე პენსიონერ პედაგოგებზე რიცხული საპენსიო დავალიანება 3288 ლარის ოდენობით. აქვე ერთჯერადი ფულადი (50 ლ.) დახმარება გაეწია 100 წელს გადაცილებულ 3 პენსიონერს.

ზევით აღვნიშნე 2004 წლის მარტიდან 3-4-6 ლარის პენსიაზე დანამატის შესახებ. როგორც მოგახსენეთ, ეს თანხა უნდა ჩათვლილიყო მიუღებელი პენსიის ანგარიშში, როგორც დანამატი პენსიაზე. ე.ი. თუ დავალიანებაში ჩაითვლებოდა, მაშინ პენსიის მატება საიდან გამოდიოდა. ამის შესახებ იმსჯელეს ზემდგომ ინსტანციებში და მიიღეს სრულიად კანონიერი გადაწყვეტილება, რომ ეს თანხებიც დაბრუნდებოდა პენსიონერებს. ეს თანხა კი შეადგენდა 154580 ლარს და 2005 წლის ოქტომბერში თითოეულ პენსიონერზე გაიცა ამ თანხიდან კუთვნილი 35 ლარი.

ძირითადად ეს არის, რაც გაკეთდა 2004-2005 წლებში. ვფიქრობ, არ არის ცოტა და არსებობს პერსპექტივაც იმისა ნაბიჯ-ნაბიჯ მივაღწიოთ იმ ზღვარს, რომლითაც პენსიონერთა სოციალური დაცვა გარანტირებული იქნება. ამ მხრივ მუშაობა მიმდინარეობს. 2005 წელს ჩატარებული საპენსიო რეფორმის შემდეგ პენსიის მაძიებლებს გაუმარტივდათ ფილიალში დოკუმენტების წარმოდგენის პროცედურა. მათ არ სჭირდებათ სხვადასხვა სამსახურიდან ცნობები, გაადვილებულია ამ დოკუმენტების ჩაბარების მექანიზმი, არ სჭირდებათ ფილიალის სხვადასხვა თანამშრომელთან შეხვედრა. მათ აქვთ ერთ მუშაკთან საქმე—ეს არის კანცელარია, სადაც ბარდება საპენსიო დოკუმენტაცია და ამის შემდეგ პენსიონერი თავისუფალია. მაგრამ უნდა აღვნიშნო ერთი: ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ყველა პენსიონერმა წარმოგვიდგინოს ახალი ქართული პირადობის მოწმობები და თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა კიდევ ერთხელ ვთხოვო ყველას რაც შეიძლება მოკლე დროში წარმოგვიდგინონ პირადობის მოწმობები (ვადა მითითებული იყო 2006 წლის 1 მარტამდე).

ახლა შევეხოთ თუ რა არის გათვალისწინებული საპენსიო უზრუნველყოფის თვალსაზრისით მიმდინარე წელს. ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია იმან, რომ გაუქმდა მთელი რიგი შეღავათები, რაც დაშვებული იყო მაღალმთიანი რეგიონის მცხოვრებთათვის, განვუმარტავ მოსახლეობას, რომ 2005 წლის 23 დეკემბრის საქართველოს კანონის „სახელმწიფო პენსიების შესახებ" ამოქმედებასთან დაკავშირებით დადგინდა საპენსიო ასაკი—მამაკაცზე—65, ხოლო ქალებზე—60 წელი. უკვე გაუქმდა მე-3 ჯგუფის შრომის ინვალიდებზე პენსიების გაცემა. მაგრამ ვისაც დანიშნული აქვს ასეთი პენსიები, მათზე გაგრძელდება პენსიის გაცემა იმ ვადამდე, რა ვადამდეც მიეცათ ეს. ამავე კანონით ყველა კატეგორიის პენსიონერებზე, რომლებიც მუშაობენ საბიუჯეტო ორგანიზაციებში, წამოადგენენ საჯარო სამართლის მქონე იურიდიულ პირს და ღებულობდნენ პენსიებს ხელფასთან ერთად, შეუწყდათ პენსიის გაცემა 2006 წლის 1 იანვრიდან. ძირითადად ეს კანონი შეეხო პენსიონერ პედაგოგებს, მაგრამ მათ სასიხარულოდ უნდა ითქვას, რომ ცვლილება შევიდა ზემოთაღნიშნულ კანონში და მაღალმთიან რეგიონებში მომუშავე პედაგოგებს, რომლებიც 2006 წლის იანვრამდე ღებულობდნენ პენსიებს, გაუგრძელდებათ გაცემა 2006 წლის იანვრიდან. ეს ცვლილება. ფონდის ცაგერის ფილიალმა უკვე განახორციელა და მომუშავე პედაგოგები მიმდინარე წლის მარტში მიიღებენ კუთვნილ პენსიებს სხვაობასთან ერთად. აქვე გაცნობებთ, რომ პენსიის მიღების უფლება (რომელსაც ადრე კანონი არ ითვალისწინებდა) მიეცათ საბავშვო ბაგა-ბაღებში მომუშავე აღმზრდელებს, პედაგოგებს. აგრეთვე ამ კანონით ისარგებლებენ ყველა ის პენსიონერი და საპენსიო ასაკს მიღწეული პირები, ვინც მუშაობენ არასაბიუჯეტო ორგანიზაციებში. ასეთებმა განცხადებით უნდა მოგვმართონ ფონდის ფილიალში.

2006 წლის 1 იანვრიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა პენსიები ზოგიერთი კატეგორიის პენსიონერებზე.

სამამულო ომის I-II ჯგუფის ინვალიდებზე—ძველი 45, ახალი 84 ლარი.

სამამულო ომის მონაწილეებზე და III ჯგუფის ომის ინვალიდებზე—45-70

ომის სხვა მონაწილეებზე—40-60

ომის მონაწილეებთან გათანაბრებულებზე—35-45

რეპრესირებულებზე, ვინც პირადად განიცადა რეპრესია—45-50

პირველი ჯგუფის ინვალიდებზე—28-35

18 წლამდე ინვალიდ ბავშვებზე, რომელთაც სხვა პირთა დახმარება სჭირდებათ—28-35

დედ-მამით ობლებზე, თითოეულ წევრზე—28-35.

აქაც აუცილებელია ერთი პირობა, რომ ზემოთჩამოთვლილთაგან 1-2-3-4—კატეგორიის პენსიონერებმა აუცილებლად უნდა წარმოადგინონ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტიდან გაცემული ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ისინი გადაყვანილი არ იქნენ მინიმალურ პენსიებზე (გათანაბრებულ ვეტერანთა სტატუსის არ მქონე პენსიონერებზე ეს განხორციელდა).

2006 წლის 1 მარტიდან შეიცვალა მინიმალური (28 ლარი) პენსიის ოდენობა და ის „საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის 50-ე მუხლის მე-8 პუნქტით განისაზღვრა 33 ლარით, რომელსაც პენსიონერები მარტის თვეში მიიღებენ, ხოლო 1 სექტემბრიდან განისაზღვრება 38 ლარით.

სოცდაზღვევის ფონდის ცაგერის ფილიალი და საერთოდ, ეს სფერო სფეციფიკური სამსახურია. ურთიერთობა გვიხდება ომითა და შრომით დაღლილ პიროვნებებთან. ამიტომ ჩვენი მუშაობის ამომავალი წერტილი არის მათი პრობლემების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება, შესაძლებლობის ფარგლებში დახმარება და თუ კანონი ისეთს არ ითვალისწინებს, პენსიონერებზე იმ პრინციპით მიდგომა: თუ მეზობელს მარილს ვერ მისცემ, მარილიანი სიტყვა მაინც უთხარიო"—ჩვენი მუშაობის მოტივია და ამას აკეთებს ცაგერის ფონდის ფილიალი, რომელიც დაკომპლექტებულია საქმის მცოდნე და გულისხმიერი მუშაკებით, ყოველნაირად ვცდილობთ და მომავალშიც შევეცდებით ჩვენგან არავითარი პრობლემა არ შეექმნათ პენსიონერებს და იმედი—სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების—არც თუ უსაფუძვლოდ გამყარებული იყოს ფონდის ფილიალის თითოეული მუშაკის კეთილსინდისიერებით.

**მზევინარ ძნელაძე**

## დახმარება პატარებისთვის

საქართველოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პარტია კვლავ განაგრძობს ქვეყანაში ჰუმანიტარულ მისიას. თებერვლის დასაწყისში, პარტიის ცენტრალური ოფისისა და პარლამენტის სპორტის სამსახურის უფროსის, დეპუტატ **ვალერი ვიორგობიანის** უშუალო ძალისხმევით გამოიგზავნა ჰუმანიტარული ტვირთი რაიონში იმ ბაგა-ბაღებისათვის, რომლებიც მუშაობენ და მომავალი თაობის აღზრდას ემსახურებიან. ტვირთს (პურის ფქვილი, ზეთი, ერბო) თვით პარტიის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელები არიგებდნენ დახმარება მიიღო ასევე უკიდურესად სიღატაკის ზღვარზე მისულმა რამდენიმე ოჯახმა.

ყველა ადრესატი უაღრესად დიდ მადლიერებას გამოთქვამდა ამ გულისხიერებისათვის.

**საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის პრეს-ცენტრი**

## ახალი წიგნი

„დიდი დრო არ გასულა, რაც მრავალი წლის განშორების შემდეგ, საქართველომ კვლავ ჩაიკრა გულში თავისი დაკარგული შვილები"... ასე იწყებს თავის ახალ წიგნს ქალბატონი **რუსუდან შარაძე.** ეს ნაშრომი ხარიტონ შავიშვილს ეხება, კაცს, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1818-1921 წ.წ.) დიპლომატიური წარმომადგენელი გახლდათ შვეიცარიაში. „ხარიტონ შავიშვილმა მეტად რთული და საინტერესო ცხოვრების გზა განვლო", თავიდანვე გვეუბნება ავტორი, იგი ნიჭიერებითა და უდიდესი რუდუნებით ეკიდება ამ დიდი ქართველის ცხოვრების თითოეულ წუთს, დეტალს.

განსაკუთრებით გვახარებს ქალბატონი რუსუდან შარაძის თითოეული წარმატება, იგი ხომ ჩვენი, ლეჩხუმელების რძალია.

კვლავ წარმატებებს გისურვებთ, ქალბატონო რუსუდან.

## ეშველება გზას და ღელეს?

ჩვენ გვწერენ

რედაქციაში ქვედა ცაგერის საკრებულოს მაცხოვრებლები პრობლემებით დამძიმებულნი გვეწვივნენ, თანაც არა პირველად—ეს პრობლემა ე.წ. „გიორგავა"ღელე გახლავთ. რომლის კალაპოტი იმდენად ამოვსებულია ჩამოტანილი ღორღით და სიბინძურით, რომ კარგა ხანია გზის სავალ ნაწილს ასცდა და ოდნავი წვიმების შემთხვევაში შუა ქუჩაში მოედინება, იმ ქუჩაზე, რომელიც წლების მანძილზე სატვირთო მანქანების სავალ გზად ითვლებოდა რომელზეც წლების მანძილზე სხვა ტრანსპორტთან ერთად ლენტეხიდან და ცაგერიდან ხე-ტყით დატვირთული უმძიმესი მანქანები მოძრაობდა, რამაც ქუჩა, ფაქტობრივად, დიდ ორმოებად აქცია და ასეთ ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობის ბედი ძნელი წარმოსადგენი არაა წვიმიან ამინდში... ხალხი ყველა კუსტარულ ტექნიკას, შიშველ ხელებსაც კი იყენებს იმისთვის, ეზოებში შესულმა ნიაღვარმა საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები რომ არ დატბოროს. ღელეს ამოწმენდა სჭირდება, ორმოებს ამოვსება, ხალხი შველას ითხოვს, წინ გაზაფხული და მოსალოდნელი წყალდიდობებია, მაშინ ზარალი გაცილებით დიდი იქნება.

***P.S.*** *შექმნილი მდგომარეობა ჩვენთან საუბარში გულთან მიიტანა შ.პ.ს. №16 ცაგერის საგზაო სამმართველოს ხელმძღვანელმა ბატონმა ბათო ყურაშვილმა და შეგვპირდა ახლო მომავალში, შეძლებისდაგვარად შეეცდება ამ პრობლემის მოგვარებას. წინასწარ ვუხდით მადლობას ბატონ ბათო ყურაშვილს.*

**რედაქციისაგან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ დაფიქსირებულა ამ სოფლის პრობლემები. სტიქიური მოვლენებით, რბილად რომ ვთქვათ „განებივრებული" არიან ლასურიაშელები. გასულ წლებში მოულოდნელად წამოსულმა მეწყერმა მთლიანად დაანგრია და საცხოვრებლად უვარგისი გახადა 21 სახლი. მაგრამ სოფლისთვის დღემდე „აქილევსის ქუსლად" ცაგერი—ლასურიაშის გზის მონაკვეთი რჩება. ჩვენ ამ სოფლის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ როსტომ ბრეგვაძეს შევხვდით, რომელიც საკრებულოს დაარსების დღიდან ამ თანამდებობაზე გახლავთ.*



## საქმიანი რუბრიკა

**–ბატონო როსტომ! თქვენ დიდი ხნის გამოცდილება გაქვთ ამ თანამდებობაზე.. თქვენი გადასახედიდან როგორ შეაფასებდით განვლილ წლებს?**

–საკრებულოს დაარსების დღიდან მე გახლვართ ამ თანამდებობაზე. ამ სკოლის შექმნის შედეგად მოსახლეობას გარკვეული იმედები გაუჩნდა, რომ ცხოვრების დონე გაუმჯობესდებოდა, თუმცა ყველაფერი პირიქით მოხდა. იყო უმოქმედობის, უკუსვლის წლები, საბედნიეროდ, ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. რაც შეეხება რევოლუციის შემდგომ პერიოდს, ჩვენი მთავრობა ყველაფერს აკეთებს ქვეყნის ასაღორძინებლად და ამის არ დანახვა არ გვეპატიება. მარტო ჩვენ სოფელში სასიმე იმედი. ვისარგებლებ და ვიტყვი, ჩვენს რაიონს პარლამენტში დეპუტატთა ძლიერი კორპუსი ჰყავს. საკმაოდ ნიჭიერი, ერუდირებული ადამიანები. მათ ძალუძთ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება. ლეჩხუმისათვის და მათი იმედი გვაქვს.

**–ამჟამად სოფელთან მისასვლელი გზა არის?**

–ჯერ-ჯერობით არის, გაზაფხული ძალაში შედის, მდინარე ცხენისწყალი ადიდდება და მალე, ალბათ, ისევ გზის გარეშე დავრჩებით.

**–ადგილობრივ ხელისუფლებაზე რას იტყოდით, რით გეხმარებიან?**

–ჯერ კიდევ, გასულ წელს, როცა ბატონი თამაზ ქარსელაძე გახლდათ გამგებელი, თავისი ინიციატივით ადგილა წარმომადგენელი ხალხთან თავად უნდა მიდიოდეს. თქვენ თუ ახერხებთ ასეთ გასვლებს მოსახლეობასთან?**

–რა თქმა უნდა, და ამას სხვა დატვირთვა ნამდვილად არ მინდა მიეცეს. თითქმის ყველა ოჯახის სატკივარი ჩემთვის ცნობილია. მე მაქვს სოფლებში ული კულტურის სახით. ბიზნესის ამოქმედებისათვის საჭიროა მცირე კრედიტების მიზნობრივად გამოყენება. პერსპექტივაში გვაქვს აგრეთვე სოფ. დეხვირის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება. ასევე, ლესინდის მიმართულებით გზის შეკეთება. სოფლების: მახაშის, ლესინდის, დეხვირის შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება აუცილებლობას წარმოადგენს. ამაში რაიონის თანადგომის იმედი გვაქვს. სოფელში აშენდა ულამაზესი ტაძარი, რომელიც ღვთისმშობლის შობის სახელობის გახლავთ. ტაძარი მოქმედია, რომელსაც ჰყავს მოძღვარი მამა ცოტნე. აი, ამ ეკლესიასთან მისასვლელი გზებიც მოითხოვს შეკეთებას, მე ნამდვილად მწამს, რომ თითოეული აქ მომლოცველი ადამიანის ლოცვა-კურთხევა აუცილებლად შეეწევა ჩვენს ლამაზ სოფელს.

**–გვერდს ნამდვილად ვერ აუვლით ამ საკითხს. ამბობენ, რომ სოფლის ტერიტორიაზე შესაძლებელია არსებობდეს ძვირფასი ლითონების საბადო. რამდენად შეეფერება ეს სინამდვილეს?**

–ჩამოსული გახლავთ გეოლოგიურ დეპარტამენტთან არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც აეროპორტის დასახლებასა და ლასურიაშის მიმდებარე ტერიტორიაზე ასრულებან ბურღვით სამუშაოებს. მე შევხვდი მათ და წინასწარი მოძიების სამუშაოებზე დაყრდნობით ვარაუდი გამოთქვეს ძვირფასი ლითონების, კერძოდ ოქროს, არსებობაზე.

**–მიგრაციის პრობლემა ხომ არ ემუქრება სოფელს? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წინა წლებში მეწყერმა მთლიანად გაანადგურა სოფლის ერთი კუთხე.**

–პირიქით. ბევრი ოჯახი დაუბრუნდა მიტოვებულ სახლ-კარს. რაც შეეხება მეწყრისაგან აყრილ ოჯახებს (ასეთ 21 კომლი გახლავთ) ყველას მიეცა თვით სოფელში სამოსახლო.

**–ბოლოს რას გვეტყოდით. თუ გაქვთ რაიმე სათქმელი?**

–მინდა გაზაფხულის ეს ლამაზი დღეები ყველა ქალბატონს მივულოცო. მშვიდობა, სიკეთე, ბედნიერება და უკეთესი ხვალის იმედი არ მოგკლებოდეთ.

**P.S. ინტერვიუ დასაბეჭდად მზად იყო, როცა ადიდებულმა ცხენისწყალმა ისევ წაიღო ცაგერი-ლასურიაშის გზის მონაკვეთი-სოფლის მოსახლეობა კვლავ ითხოვს დახმარებას.**

# პრობლემათა პრიზმაში: ისევ და ისევ გზა

## ი ნ ტ ე რ ვ ი უ

წრაფო დახმარების გამოძახებით 14 ადამიანი სიკვდილს გადაურჩა. აღსანიშნავია, პენსიებისა და ხელფასების თანდათანობით ზრდა. პრეზიდენტის მიზანი მიმართულია მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესებისაკენ.

**–დღესდღეობით რა მდგომარეობაშია სოფელთან დამაკავშირებელი გზა?**

–ჩვენი „აქილევსის ქუსლი" წლების განმავლობაში იყო, არის და იქნება ცაგერი—ლასურიაშის გზის მონაკვეთი. წელიწადში 10 თვე სრულიად მოწყვეტილია სოფელი რაიონულ ცენტრს და ადგილობრივ მოსახლეობას კილომეტრნახევრიანი გზის დაფარვის მაგივრად 23 კმ მანძილის გავლა უწევს შემოვლითი გზით. ახლაც, მალე, ფაქტობრივად, გზა აღარ იქნება და ისევ დავრჩებით უგზო—უკვლოდ.

**–თუ არის რაიმე გამოსავალი?**

–წინა წლებში თხოვნით მივმართეთ პარლამენტის თავჯმდომარეს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, რათა მოგვარებადი ყოფილიყო ეს პრობლემა. მან უშუალოდ დაავალა მაშინდელი პრემიერ-მინისტრს, ზურაბ ჟვანიას, რომლისგანაც მივიღეთ პასუხი, რომ ამ ეტაპზე არანაირი საშუალება ბიუჯეტში არ არის და გზის აღდგენის ხარჯები გათვალისწინებული იქნება 2006 წლისთვის. მაგრამ როგორც ხედავთ, ჯერ-ჯერობით, ამ მიმართულებით არაფერი არ კეთდება და არც მომავალში არის რალობრივი ბიუჯეტიდან გამოგვიყო 2500 ლარი, რითაც მოხერხდა შეგვერემონტებინა სკოლა და ბაღი. დიდი დახმარება გაგვიწია რაიონის გამგებელმა ბატონმა ვახტანგ კერესელიძემ. სოფელთან დამაკავშირებელი გზის გახსნა სწორედ მისი დამსახურებაა. 1900 ლარი, საწვავის ღირებულება, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიფარა. არ შემიძლია აქვე არ ავღნიშნო, არის ასეთი არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზინტერკოლი" და მადლობა მინდა გადავუხადო, რომელმაც რაიონში სხვადასხვა სამუშაოები ჩაატარა. კერძოდ, გაიწმინდა ცხენისწყლის 5 კმ სიგრძის არხი. აქედან სოფელ ლასურიაშში 1200მ სიგრძის ზოლი. ასევე „უსაიდის" ორგანიზაციის დახმარებით მოგვარდა უდიდესი პრობლემა. სოფელ ლასურიაშის მოსახლეობას მიეწოდა სასმელი წყალი. ასე რომ, ნელნელა ადგილობრივი, ცენტრალური ხელისუფლებისა და ზემოთხსენებული ორგანიზაციების ხელშეწყობით ბევრი საკითხი გადავჭერით.

**–რომელი სოფლები შედის თქვენს დაქვემდებარებაში?**

–ჩვენ საკრებულოში შედის შემდეგი სოფლები: ლასურიაში, დეხვირი, მახაში და ლესინდი. 567 კომლი—1540 მცხოვრებლით.

**–პრეზიდენტი თავის გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დამთავრდა კაბინეტების დრო, ხელისუფლების ყვეგასვლის გარკვეული გრაფიკი შემუშავებული, რითაც მოსახლეობასთან ვახერხებ უშუალო კონტაქტს.**

**–რამდენი სკოლა და ბაღი ფუნქციონირებს თქვენთან?**

–ლასურიაშის საშუალო სკოლა, დეხვირისა და მახაშის არასრული სკოლები. მუშაობას ლასურიაშის და დეხვირის ბაღები. გვყავს შესანიშნავი უბნის ექიმი ნატო ნემსაძე, რომლის მიმართ დიდ მადლიერებას იჩენს მოსახლეობა.

**–ბატონო როსტომ! სწავლის პროცესი ლასურიაშის სკოლის შენობაში მიმდინარეობს?**

–კი, ამჟამად სწავლის პროცესი სკოლის შენობაში მიმდინარეობს. თუმცა გასულ წლებში შენობის დაზიანების გამო სკოლა სოფლის საკრებულოს შენობაში შევხიზნეთ. რამდენიმე კაბინეტი ისევ მოსაწესრიგებელია (იატაკი ჩავარდნილია და ა.შ). ბატონი ვახტანგ კერესელიძე შეგვპირდა, რომ გარკვეულ დახმარებას გაგვიწევს ამ პრობლემის მოგვარებაში.

**–სამომავლოდ თუ გაქვთ რაიმე პროექტები?**

–ჩვენ გვაქვს პერსპექტიული გეგმები სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების და ასევე ეკონომიკური წინსვლის. ამ ნაბიჯის გადადგმისთვის მცირე ბიზნესის განვითარებაა საჭირო. საამისოდ ხელსაყრელი პირობები გააჩნია სოფელს. კერძოდ, ყურძნის, ხილისა და მარცვლე-

ეკა ყვირილიანი

# გაზაფხული და... ისევ დედა!

პატარებმა ყვავილებით დაასაჩუქრეს მშობლები, პედაგოგები და სტუმრებს დიდი სიამოვნება გაატანეს.

თამარ დავითულიანი

დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებაზე ცაგერის საშუალო სკოლის III კლასს ვსტუმრობდით. პატარები სახელდახელოდ, საკუთარი ხელით გაფორმებული ბარათებით ხელში, რომელშიც დედებისადმი მილოცვა ამოექარგათ, ელოდნენ ღონისძიების დაწყებას.

ლამაზი ლექსებით, დედისადმი, ქალისადმი, გაზაფხულისადმი მიძღვნილი სიმღერები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ბავშვები. მათი სასიამოვნო განწყობა ჩვენც გადმოგვედო, მათ დედებს-განსაკუთრებით, შვილებისგან სიყვარულის, მოფერების, იმედის სიტყვებს რომ ისმენდნენ.

მუსიკალურ განწყობას მათი მუსიკის მასწავლებელი ქალბატონი **იზა ხეცურიანი** ქმნიდა, ბავშვებიც მშვენივრად მღეროდნენ ამ მუსიკაზე.

ზეიმის ბოლოს დედის დღე მიულოცა დამსწრეთ კლასის დამრიგებელმა ქალბატონმა **ნინო შუბულიანმა**, სკოლის დირექტორმა ქალბატონმა **ნუნუ ჩაკვეტაძემ**.



# თუ დარგი არ ჩაიძირა...

თემა, რომელსაც ამ წერილში შევეხებით, მიზეზთა და მიზეზთა გამო ერთობ საკამათო და ბუნდოვანია. ბიზნესის ეს დარგი საქართველოში დღემდე საკმაოდ განვითარებულად ითვლებოდა და მოსახლეობასთან ერთად ბიუჯეტიც გვარიანად ივსებოდა, მაგრამ... ერთ მშვენიერ დღეს ქათმის გრიპის ვირუსმა მთელი მსოფლიო შეაშფოთა და ახლა მამლის ყივილი სოფლის გაღვიძების ნაცვლად შიშთან ასოცირდება. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფრინველის ხორცის გემოს კი დავივიწყებთ, მაგრამ სააღდგომოდ კვერცხის მაგივრად რას შევღებავთ, გაურკვეველია, რადგან აქსიომაა არ იქნება ქათამი, არ იქნება კვერცხი!

ზოგს სჯერა ამ ვირუსის, ზოგს არა, ზოგიც ვერ შელევია ნასათუთევ ფრინველს და ამ ყველაფრის ფონზე ჩვენი გაზეთი ცაგერის განაპირას მდებარე, სულ, ორიოდე თვის უკან ამუშავებულ მინი-მეფრინველეობის ფაბრიკას ესტუმრა. იქ მუშაობა ჩვეულ რიტმში მიდიოდა და საწარმოს ხელმძღვანელები დღევანდელ გაურკვეველ სიტუაციაზე ბჭობდნენ.

ჩვენ საწარმოს მთავარ ტექნოლოგს ბატონ **დავით მოდებაძეს** გავესაუბრეთ. აი, რა გვიამბო მან:

–„მინი ფაბრიკა ორიოდე თვის უკან, იანვრის დასაწყისში ამუშავდა. ადრე თბილისის „თამარისის" მეფრინველეობის ფაბრიკაში ვმუშაობდი და თითქმის საკუთარი ხელით ავაწყვეთ ყველა დანადგარი. შპს „მეურნესთან" არსებული მინი-ფაბრიკა 800 ფრთა ფრინველზე მუშაობს, ჩემთან ერთად მართვის საკითხებზე გოგიტა გუგავა ზრუნავს. შენობა არენდით გვაქვს აღებული, ფულს ვუხდით ფირმა „ეგზოტიკას" (ჯემალ ჩიკვაიძეს). მე მენეჯმენტს ვანხორციელებ, ხოლო წარმოებულ კვერცხს ლოგოდ „ლეჩხუმი –შ.პ.ს. „მეურნის" ემბლემა ადევს. პროდუქცია გასულია ცაგერისა და ქუთაისის სავაჭრო ობიექტებში, მისი წარმოება 95% შეადგენს, ხოლო რაც შეეხება საცალო ღირებულებას–დღევანდელ ფასებთან შედარებით შეიძლება ითქვას, რომ ვიღებთ მხოლოდ იმას რასაც ვხარჯავთ. ჩვენ ვმუშაობთ მხოლოდ კვერცხის რეალიზაციაზე, არ გაგვაქვს ქსელში ხორცი. და თუ სადმე რაიონში ქათმის გრიპის ვირუსი დაფიქსირდა, შემდეგ უდავოა, რომ ფრინველი განადგურდება და მინი-ფაბრიკაც დაიხურება.

ქათამი ფაბრიკაში ჩამოვიყვანეთ 120 დღისა, ანუ უკვე კვერცხმდებელი იყო. კონსტრუქციებიც საკუთარი ხელით ავაწყვეთ, ტყვილა ჯდომას იქნებ ტყვილა შრომა ჯობდა... გალიები ჩვენ თვითონ გავაკეთეთ, რადგან ფაბრიკისათვის ძველები აღარ გამოდგებოდა, მას ფაქტიურად ბევრი ნაწილი აკლდა. ახლა კვერცხის აკრეფა და საკვების დარიგება ხელით ხდება, თუმც თვით აწყობის პროცესიც დიდხანს გაიწელა... აქ 4 მუშა-ხელია დასაქმებული. ვეტექიმი, საკვები საამქროს დამამზადებელი, ორიც ფრინველთან. დღეისათვის რეალიზაციაში 15000 კვერცხი გავუშვით. შედეგი არის, რადგან ფრინველი პროდუქციას იძლევა, მაგრამ რეალიზაციაა ნაკლები, რათა გაჩნდა შიში. მინდა გითხრათ, აქ,. ჩვენთან, სრულიად დაზღვეულია ფრინველი, თუ სადმე არსებობს იმის გარანტია, რომ 100%-დან 99% დარჩეს ჯანრთელი, მხოლოდ ამ პირობებში, რაც ჩვენთანაა. აქ, რომ იტყვიან, ისეა ყველაფერი ჩაკეტილი, ჩიტიც ვერ შემოფრინდება. სოფლის ფრინველი კი უფრო საშიშია. რაც შეეხება კვერცხს მინდა გითხრათ, რომ დაავადებული ფრინველი კვერცხს ვერ დადებს. „კაროტინი", ანუ ყვითელი გული იმას ნიშნავს, რომ ფრინველი არის ჯანმრთელი.

ალბათ გაინტერესებთ რას ვაპირებთ მომავალში?–თუ დარგი არ ჩაიძირა, ჩვენ კიდევ მეტად წავალთ წინ. აქ წარმოებულ პროდუქციას ბევრი ღებულობს, რადგან აბსოლუტურად არანაირი საფრთხე ჯერჯერობით არ გვემუქრება. ჩვენ კიდევ უფრო გაფართოებას ვაპირებთ, კიდევ ვიმეორებ, თუ საქართველოში ეს დარგი არ ჩაიძირა, ახლა მხოლოდ ვინარჩუნებთ იმას, რაც გავაკეთეთ აქამდე. მე აქ ფულის საკეთებლად ნამდვილად არ ჩამოვსულვარ, საქმის საკეთებლად ჩამოვედი. მინდა, რომ მცირე ბიზნესის განვითარებაში ჩვენი სიტყვა ვთქვათ, რაიონში ხალხი დავასაქმოთ, ბიუჯეტშიც ჩვენი წვლილი შევიტანოთ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული რა პროცესები წავა ქათმის გრიპთან დაკავშირებით. ყველა ქვეყანაში, სადაც ეს ვირუსი დაფიქსირდა, განადგურებულია მხოლოდ კერძო მფლობელების ფრინველი. მსოფლიოში არ არის პრეცედენტი, რომ ფაბრიკაში აღმოჩენილიყო ეს დაავადება. ასე რომ ჩვენ იმედს არ ვკარგავთ!"

* * *

ინტერვიუს შემდეგ ბატონმა დათომ ქათმებთანაც შეგვაჭყიტა, გვერწმუნეთ ამ მომენტისათვის ისინი ნამდვილად ჯანმრთელად გრძნობდნენ თავს და 15 კომპონენტისაგან შემდგარ მათ საკვებს (რომელიც თურმე 1 ტონა 600 ლარი ჯდება), გემრიელად მიირთმევდნენ, იქვე მოფუსფუსე მუშებიც ჯანმრთელ, ახალ, თბილ პროდუქტს კრეფდნენ და სპეციალურ ყუთებში აგროვებდნენ.

ვუყურებდით ამდენ ნაშრომნაწვალებს და გვენანებოდა, რადგან მისი მესვეურები ჯერ კიდევ არ არიან საბოლოოდ დაზღვეულნი დახურვისა და ფრინველის განადგურებისაგან, ჩვენს ქალაქში კი ისევ უსაფრთხოდ მიირთმევდნენ შპს „ლეჩხუმის" ბეჭედდარტყმულ კვერცხს.

წარმატებები გვინდა ვუსურვოთ ახალფეხადგმულ მინი-ფაბრიკას და კიდევ... ფრინველის გრიპსა და ვირუსს არ შეებიჯებინოს მათთან!

**მარინა სვანიძე**



# გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

## სასამართლოს დარბაზიდან

ცაგერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლეილა გურგუჩიანმა, მდივნობით ირინა ადეიშვილის, შ. პ. ს. „ლეჩხუმი-96"-ის დირექტორის ჯემალ ახვლედიანის, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მინდობილობით წარმომადგენლის ტარიელ კოპალიანის მონაწილეობით განვიხილე შ. პ. ს. „ლეჩხუმი-96"-ის დირექტორის ჯემალ ახვლედიანის განცხადება შ. პ. ს. ლეჩხუმი-96-ის მიმართ გაკოტრების საქმის გახსნის თაობაზე.

***გამოვარკვიე:***

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 10 თებერვალს განცხადებით მომართა შ. პ. ს. „ლეჩხუმი-96"-ის დირექტორმა ჯემალ ახვლედიანმა და მოითხოვა შ. პ. ს. „ლეჩხუმი-96"-ის მიმართ გაკოტრების საქმის გახსნა შემდეგ გარემოებათა გამო:

საზოგადოება ზედავალიანების მქონეა, რაც ბოლო წლიური ბალანსიდან მომდინარეობს. საზოგადოების ყველაზე დიდი კრედიტორი ბიუჯეტია. საგადასახადო დავალიანება შეადგენს 568.8 ათას ლარს 2006 წლის 1 იანვარის მდგომარეობით.

პროდუქციის ღირებულებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო საზოგადოება მომავალში მოსალოდნელია მყარად გახდეს გადახდის უუნარო.

საზოგადოებას საკუთრებაში აქვს მოძრავი და უძრავი ქონება, რომლის ღირებულება შეადგენს 35537 ლარს, რომელიც დატვირთულია იპოთეკით ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ე. ი. მოვალის ქონება „აქტივი" ველარ ფარავს მის ვალდებულებებს (პასივს).

შევისწავლე რა საქმეში არსებული მტკიცებულებები, მოვალის ქონებრივი მდგომარეობა. მისი გაკოტრების უნარიანობა, გაკოტრების საფუძვლები, ვთვლი რომ შ. პ. ს. „ლეჩხუმი-96"-ის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება უნდა გაიხსნას შემდეგ გარემოებათა გამო:

„გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გაკოტრების ზოგადი საფუძველია მოვალის გადახდის უუნარობა, არგეთვე მისი ზედავალიანება, თუ მოვალე იურიდიული პირია.

შ. პ. ს. „ლეჩხუმი-96"-ის ქონებაზე შესაძლებელია საგაკოტრებო საქმის გახსნა, იგი ფარავს ამავე კანონის მე-19 მუხლის გათვალისწინებული წარმოების ხარჯებს. მაშასადამე შ. პ. ს. „ლეჩხუმი-96" ამავე კანონის მე-2 მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე წარმოადგენს გაკოტრების უნარიან საწარმოს.

შ. პ. ს „ლეჩხუმი-96"-ს გააჩნია კრედიტორული დავალიანება, მათ შორის ძირითადი კრედიტორის, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის დავალიანება, რაც ალიარებულია და დასტურდება შედარების აქტით და შეადგენს 568.8 ათას ლარს. მაშასადამე ამავე კანონის მე-2 მუხლის III პუნქტის შესაბამისად სახეზე გვაქვს მოვალის, მოცემულ შემთხვევაში შ. პ. ს „ლეჩხუმი-96"-ის გადახდის უუნარობა, რაც ამავე კანონის მე-2 მუხლის II პუნქტით წარმოადგენს გაკოტრების საფუძველს.

ასევე, მოვალის ქონება (აქტივი) ველარ ფარავს მის ვალდებულებებს (პასივს) და ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის სახეზე გვაქვს იურიდიული პირის ზედავალიანება.

„გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ საქართველოს" კანონის მე-2 მუხლის II პუნქტით გაკოტრების ზოგადი საფუძველია მოვალის გადახდის უუნარობა, აგრეთვე მოვალის ზედავალიანება თუ იგი იურიდიული პირია, ამდენად სახეზეა გაკოტრების საფუძვლები კერძოდ: გაკოტრების უნარიანობა, გადახდის უუნარობა, ზედავალიანება და მოთხოვნა გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

გაკოტრების მმართველის კანდიდატურასთან დაკავშირებით გამოვარკვიე, რომ არჩილ კუბლაშვილი დაბადებული 1975 წელს არის უმაღლესი იურიდიული განათლებით, აქვს აღნიშნულ დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, ცხოვრობს ქ. ქუთაისში, თავისუფლების ქ. №124-ში.

ვიხელმძღვანელე რა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8, მე-2, მე-12, მე-13, და მე-15-ე მუხლებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე და 285-ე მუხლებით:

***დავადგინე:***

I. შ. პ. ს „ლეჩხუმი-96"-ის მიმართ გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება.

II. მოვალე შ. პ. ს „ლეჩხუმი-96"-ს აეკრძალოს თავისი ქონების განკარგვისა და მართვის უფლება

III. გაკოტრების მმართველად დაინიშნოს არჩილ კუბლაშვილი, დაბადებული 1975 წელს, განათლებით იურისტი, მცხოვრები ქ. ქუთაისში თავისუფლების ქ. №124-ში, მუშაობს შ. პ. ს „ა მ დ" ჯგუფის იურიდიული სამსახურის უფროსად.

IV. გაკოტრების მმართველმა დაუყონებლივ მიიღოს მმართველობაში გაკოტრების მასა. შ. პ. ს „ლეჩხუმი-96"-ის ქონება, კეთილსინდისიურად მართოს და განკარგოს იგი.

V. მოვალე შ. პ. ს „ლეჩხუმი-96"-ის ყველა კრედიტორმა ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში წარუდგინოს ცაგერის რაიონულ სასამართლოს (ცაგერი ლ. ასათიანის ქ. №14), თავიანთი მოთხოვნები შესაბამის ვალუტაში. თანხის და ვალის საფუძვლის ჩვენებით. ვადის გასვლის შემთხვევაში განაწილება მოხდეს მათი მოთხოვნის გაუთვალისწინებლად.

VI. ყველა იმ პირს, რომელსაც მოვალე შ. პ. ს „ლეჩხუმი-96"-ის ქონების მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის განმავლობაში განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ. (ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. №7)

VII. ყველა იმ პირს, რომელსაც ფლობს მოვალე შ. პ. ს „ლეჩხუმი-96"-ის ქონების მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმეს შესრულებაზე დაევალოს მხოლოდ გაკოტრების მმართველს.

VIII. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ ეცნობოს ყველა იმ პირს, რომელთაგანაც შ. პ. ს „ლეჩხუმი-96-ს აქვს საქმიანი ურთიერთობა.

IX. განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნდეს ადგილობრივ და ცენტრალურ პრესაში, აგრეთვე სასამართლოს დაფაზე.

X. განჩინება გაეგზავნოს კავშირგაბმულობის განყოფილებას.

XI .შ. პ. ს „ლეჩხუმი-96"-ის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ მონაცემები შეტანილი იქნას სამეწარმეო რეესტრში. რის შესახებაც ეცნობოს მარეგისტრირებელ ორგანოს და საჯარო რეესტრს.

XII. დაევალოს გაკოტრების მმართველს პირველი კრება მოიწვიოს 2006 წლის 27 მარტს.

მოსამართლე
ლეილა გურგუჩიანი

# ერთი დღე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში

შენობის თეთრი ფასადი ეზოში შესვლისთანავე მოხვდა თვალს, ამ უძველესი შენობის მთავარი ცვლილებაც მხოლოდ ფასადია, რადგან დანარჩენი, ყველაფერი ისევ ისე დამხვდა, როგორც ჩემი მოსწავლეობის დროს იყო, გარდა ერთისა—მცირედი კოსმეტიკური ცვლილება შენობაში კედლებსაც ეტყობოდა.

კიბის რამდენიმე საფეხურმა იმ ოთახში შემიყვანა, სადაც ხშირად სხვადასხვა სახის გამოფენას ვაწყობდით ჩემი თაობის მოსწავლეები. როგორც აღმოჩნდა, ეს ოთახი ახლაც ამ ფუნქციას ასრულებს, შემდეგ მოდის დარბაზი, რომლის კარი ფართოდ საზეიმო დღეებში იღებოდა, სამასწავლებლო, სადაც სახელწოდების შესაბამისად მასწავლებლები იყრიდნენ თავს. ჩემი მეხსიერებითი თანმიმდევრობა არც აქ დარღვეულა, მოსწავლეთა სახლის მასწავლებელს ხელმძღვანელი ვკითხე და იმ ოთახისაკენ გავწიე, რომელიც ყოველთვის ამ სახლის ხელმძღვანელს ეკუთვნოდა, ჩვენი ინტერვიუც ამ ოთახში შედგა, თბილი და სასიამოვნო მიღების შემდეგ ქალბატონ **ციური ახვლედიანს** მოსწავლეთა სახლის შესახებ რამდენიმე კუთხით მივმართე.

**როგორია მოსწავლეთა სახლის სტრუქტურა დღეისათვის?**

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სტრუქტურა ძირითადად უცვლელია, მაგრამ ეს არ კრძალავს აღმზრდელობით მუშაობასთან დაკავშირებით საინტერესო შემოქმედებით საქმიანობას. თუმცა რეორგანიზაციას ველოდებით. დამუშავების პროცესშია ახალი დებულებაც, ვნახოთ.

**რა წრეები ფუნქციონირებს ამჟამად?**

ჩვენთან სხვადასხვა სახის წრე ფუნქციონირებს, როგორც მხატვრული, ისე შემოქმედებითი. არის აგრეთვე საგნობრივი, კერძოდ — მუსიკის, სიმებიან საკრავთა (ფანდური, გიტარა), ვაჟთა ანსამბლი, მათემატიკის, ნორჩ ქიმიკოსთა, ფოლკლორის, მხატვრული კითხვის და სხვები.

**გყავთ თუ არა კონტინგენტი?**

დებულება ითვალისწინებს, რომ ჯგუფში ირიცხებოდეს 7-12 მოსწავლე, რაც ძირითად წრეებში მიღწეულია.

მოსწავლეთა კონტინგენტი მხოლოდ ცაგერის სკოლით არ შემოიფარგლება, აქ წრეებში გაერთიანებული არიან ჩხუტელის, ლასურიაშის, დეხვირის, გვესოს, ჭალისთავის მოსწავლე ახალგაზრდები.

**გყავთ თუ არა პროფესიული კადრები?**

კოლექტივი ძირითადად ახალგაზრდულია, ყველა წრე დაკომპლექტებულია უმაღლესდამთავრებული კადრებით.

**როგორ ფინანსდება მოსწავლეთა სახლი და არის თუ არა ეს დაფინანსება საკმარისი?**

წრეები ყველა სახის უფასოა. ისინი ფინანსდებიან ფინანსთა სამინისტროს ტრანსფერით. თანხები მიზერულია. ამჟამდ ერთი ჯგუფის ანაზღაურება უმაღლესდამთავრებული კადრის 14 ლარია. სამჯგუფიანი წრის ხელმძღვანელის ხელფასი არის 43 ლარი. იმედია, მოიმატებს ხელფასი ჩვენთანაც.

**კადრების შემცირებაა ყველა სფეროში, რა ხდება თქვენთან?**

რაც შეეხება შემცირებას, ჩვენთან ეს პროცესი წლებია მიმდინარეობს, წელსაც საკმარისად შეგვეხო. წლიური ხელფასი გამოგვეყო 13 ათასი ლარი, ნაცვლად 16 ათასისა. ყოველ თვეში დაგვჭირდა 300 ლარით თანხის შემცირება, ასე რომ ამ საკითხს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია.

**რას გეგმავთ სამომავლოდ?**

წელს, როგორც ვიცით, რეფორმების წელია. ძირითადად ამ წლის ბოლომდე მხოლოდ ჩვენი სახლის ღონისძიებებით დავკავდებით. მომავალ წელს კი გვაქვს სიახლეები, როგორც სარაიონო ღონისძიების ჩატარების, ასევე შიდა საწრეო მუშაობაშიც.

**რა მთავარი პრობლემები გაქვთ?**

პრობლემები მართლაც გვაქვს, მათგან გამოვყოფდი მთავარს, მოსწავლეთა სახლი მოთავსებულია ერთ-ერთ უძველეს შენობაში, რომელსაც კაპიტალური რემონტი არ ჩატარებია ათეული წლებია. მხოლოდ გამგეობის დახმარებით გასულ წელს გამოგვეყო 400 ლარი და მინიმალურად გარე ფასადი გავარემონტეთ. გვიჭირს ფართის მხრივ, არ გვაქვს დარბაზი ღონისძიებებისათვის, კაბინეტები წრეებისათვის. ამჟამად ორი ოთახი საჭიროებს აუცილებელ გარემონტებას. იქნებ კვლავ გამოიჩინოს გამგეობამ კეთილი ნება და გამოყოს თანხა რემონტისათვის.

***

ინტერვიუს დროს ქალბატონმა ციურიმ რამდენჯერმე გაიმეორა ჩემი მისამართით—გახსოვს? გაიხსენე?

მე ხომ მახსოვს! თანაც ყველაფერი კარგად, რაც ამ სახლთანაა დაკავშირებული და მადლობა ღმერთს, ეს მხოლოდ და მხოლოდ სასიამოვნო შთაბეჭდილებებია.



**ეკა ბენდელიანი**

# ქვედა ცაგერის საკრებულოში

დედისადმი, გაზაფხულისადმი მიძღვნილი დღესასწაული იზეიმა სოფელ ქვედა ცაგერის საკრებულომ. კაფე-სალამოზე, ძირითადად, საკრებულოში მცხოვრები ქალბატონები გახლდნენ მიწვეულნი... და არამარტო ისინი, სხვა ღირსეული ქალბატონებიც.

მათთან ერთად საკრებულოს რაიონის გამგებელი ბატონი ვახტანგ კერესელიძე და ადგილობრივი მთავრობის სხვა წარმომადგენლებიც სტუმრობდნენ.

ქვედა ცაგერის საკრებულოს თავმჯდომარემ და ამ სალამოს მთავარმა ინიციატორმა ბატონმა კარლო კოპალიანმა ყველას მიულოცა დედის დღე, გაზაფხულის შემობრძანება და ქალებს მშვენიერი თაიგულები მიართვა.

დღესასწაული ქალბატონებს სტუმრებიდან პირველმა რაიონის გამგებელმა ბატონმა ვახტანგ კერესელიძემ მიულოცა.

სალამოს ამშვენებდნენ ლექსებით და მუსიკალური ნომრებით ქვედა ცაგერის საშუალოს სკოლის მოსწავლეები, სარაიონო კულტურის სახლის ერთ-ერთი წამყვანი მომღერალი, საკრებულოს მცხოვრები გულნაზ გოლეთიანი, სარაიონო კულტურის სახლთან არსებული ვაჟთა გუნდი და სხვები.

სახელდახელოდ დარიგებულმა ლატარიის ბილეთებმა ბევრ ქალბატონს მოუტანა სიხარული მოგებული მშვენიერი საჩუქრებით.

აქ გარკვეული ინტელექტუალური პაექრობაც კი გაიმართა, რამაც კიდევ უფრო საინტერესო და შინაარსიანი გახადა ღონისძიება.

შემდეგ ახალგაზრდული დისკოთეკა შევიდა ძალაში, ყველას მიეცა საშუალება მხიარული განწყობილება შექმნოდა ამ გაზაფხულის მართლაც მშვენიერ დღეს.

დიდი მადლობა ბატონ კარლოს, საკრებულოს თითოეული თანამშრომელს ასეთი მშვენიერი საგაზაფხულო საჩუქრისთვის.

**თამარ დავითულიანი**



# ტატიანა ყურაშვილი

**ტატიანა ყურაშვილი-ბაკურაძე**—ახლახან გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე ეს ღვაწლმოსილი ქალბატონი.

სრულიად ახალგაზრდა პედაგოგს დიდი ძალისხმევა დასჭირდა ცაგერში სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკა გახსნილიყო. ასეც მოხდა— და 1951 წლიდან მოყოლებული მთელი შეგნებული ცხოვრება ამავე ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა.

თაობები აღიზარდნენ ცაგერის საბავშვო ბიბლიოთეკაში, მათ მეხსიერებაში დიდხანს დარჩება ბავშვობის საყვარელი ადგილი, რომელიც ასოცირდება წიგნთან, ცოდნასთან, სივრცესთან, ზღაპრულ სამყაროსთან, არაერთ საინტერესო ღონისძიებასთან... ამ ყველაფრის ორგანიზატორი სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკა და მისი დირექტორი გახლდათ.

საზოგადოების აქტიური წევრი და ოჯახის არაჩვეულებრივი დედა იყო. მეუღლეს, არჩილ ბაკურაძეს, შესანიშნავ პიროვნებას არაერთი თანამდებობა ეჭირა. შვილები რეზო და მაყვალა დედაქალაქში ცხოვრობენ და აქტიურად მოღვაწეობენ.

დღეს ტატიანა ყურაშვილი-ბაკურაძის ფუძეზე სიმშვიდეა, დასანანი სიმშვიდე.

**რაიონის საბიბლიოთეკო**
**ძსელის მუშაკები**

# ვლადიმერ გრიგოლის ძე დავითულიანი

კიდევ ერთი აქტიური წევრი გააცილა მარადიულ გზაზე ლეჩხუმის ინტელიგენციამ—კარგი მოქალაქე და პიროვნება, მაღალი პასუხისმგებლობის, დიდი გამოცდილებისა და ღვაწლის მქონე მუშაკი **ვლადიმერ გრიგოლის ძე დავითულიანი.**

ცხოვრების გრძელი გზა განვლო ვლადიმერ დავითულიანმა. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე 1954 წელს, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩაერიცხა, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ იწყება მისი აქტიური პედაგოგიური, პარტიული თუ სამეურნეო საქმიანობა.

სრულიად ახალგაზრდა ისტორიის რიგითი მასწავლებელი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და სკოლიდან განათლების რაიონულ განყოფილებაში გადმოჰყავთ პედკაბინეტის გამგედ. შემდეგ იგი პარტიის ცაგერის რაიკომის ინსტრუქტორია, რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე—პარტკაბინეტის გამგე; 80-იან წლებში არის პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე. ამის შემდეგ მუშაობს სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფრაიკომის თავმჯდომარედ. ბოლო წლებში იყო რაიონული გაზეთის რედაქციის მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე. ეს გახლავთ არასრული ჩამონათვალი მის მიერ განვლილი თანამდებობებისა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სადაც კი უმუშავია, ვლადიმერ დავითულიანი გამოირჩეოდა უანგარობით, კოლეგიალობით, პროფესიონალიზმით, სარგებლობდა დამსახურებული პატივისცემით და ავტორიტეტით.

ძვირფასო მეგობარო! ერთხელ კიდევ ვფურცლავთ საკმაოდ სქელტანიან შენს „პირად საქმეს" და გვეამაყება, რომ დაგვიტოვე ესეოდენ სუფთა ბიოგრაფია ამ ქვეყნიდან პატიოსნად წასული კაცის.

ერთხელ კიდევ ვუსამძიმრებთ შენს



ლამაზ ოჯახს—მეუღლეს, ღვაწლმოსილ პედაგოგს, ქალბატონ ლილი ლარცულიანს, შვილებს—ჩვენი საზოგადოების საუკეთესო წევრებს, შვილიშვილებს, ყველას, რომელთა ალალი ცრემლი და სიყვარული თან წაგყვა საუკუნო გზაზე.

შეგიძლია მშვიდად განისვენო! ლამაზი შთამომავლობა თავს დაჰფოფინებს შენს სახელსა და ხსოვნას.

**მეგობრები**

# შეხვედრა მოვაჭრეებთან

9 მარტს, ცაგერის რაიონის გამგეობის სხდომათა დარბაზში რაიონის გამგებელი ბატონი ვახტანგ კერესელიძე, მოადგილეები თამაზ ქარსელაძე, კახა კოპალიანი, საკრებულოს სპიკერი კარლო კოპალიანი, და საგადასახადო ინსპექციის მთავარი ინსპექტორი კარლო კვირიკაშვილი შეხვდნენ ქალაქის მოვაჭრეთა იმ ნაწილს, რომლებიც აღშფოთებას გამოთქვამდნენ საკასო აპარატების შემოღების გამო და თან ეხმაურებოდნენ იმ აქციას, რომელიც ქ. თბილისში იმართებოდა იმ დღეს.

ქალაქის მოვაჭრეთა სრული უმრავლესობა ერთსულოვანი იყო იმაში, რომ საკასო აპარატების დადგმა და მოხმარება შეუძლებელია და რომ ამ ნაბიჯის გადადგმით რაიონის ის მოსახლეობა დაზარალდება, რომელსაც თვიდან-თვემდე ე.წ. „ნისიით" გააქვს თავი:

**გულნარა სილაგაძე**–კერძო მოვაჭრე–„ვარ აფხაზეთიდან ლტოლვილი სულ მალაზიაში 200 ლარის საქონელი მიდევს, როგორ გადავიხადო აპარატში 350 ლარი, რით ვკვებო ჩემი შვილები, როცა ნისიადაც არავინ მომცემს პროდუქტს? ხომ უნდა გაითვალისწინოთ ჩვენი გაჭირვება?

**ლალი ხვადაგიანი**–კერძო მოვაჭრე–„ჩვენ გვახსოვს როგორ მოვიდა ჩვენი ხელისუფლება ქვეყნის სათავეში–დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერითა და ძალით. მაშინ ისინი გვპირდებოდნენ ხალხის გვერდში დგომას. პირიქით ხდება–პარლამენტმა მიიღო ისეთი კანონი, რომლის შესრულებაც ხალხს არ შეუძლია. არის ეს რეალური კანონი? ჩემი დიდი სურვილია, რომ დღეს კობა დავითაშვილის გვერდით ვიყო, რადგან მან კარგად იცის პერიფერიების პრობლემები..." თავიანთი წინადადებები დააყენეს ნათელა ცხვედიანმა, ნივრა ბენდელიანმა, ვალია ონიანმა და სხვ.

საგადასახადო ინსპექციის მთავარი ინსპექტორი ბატონი კარლო კვირიკაშვილი თავისი კომპეტენტურობითა და კანონის ღრმა ცოდნით ცდილობდა აეხსნა მათთვის ფაქტიური სინამდვილე საკასო აპარატების ირგვლივ შექმნილ აზრზე და ისაუბრა იმ შანტაჟზე, რასაც ოპოზიციური პარტიები ქმნიან ამ თემის ირგვლივ: –„ჩვენ დღეს უნდა გამოვძებნოთ ერთი საერთო პოზიცია. ეს არის ის, რომ აღნიშნული პროცესი სახელმწიფოებრივი საქმეა და კანონი უნდა აღსრულდეს. ქვეყანა გადასახადებზე დგას, ამის გარეშე ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იარსებებს, გადასახადები ერთთავად ხსნის ყველა პრობლემას, აღნიშნული სალარო აპარატები კი არის გარანტია, ისინი შე ძენის შემდეგ თქვენი საკუთრებაა, რომელიც შეგიძლიათ გაყიდოთ და ფასი უკანვე დაიბრუნოთ. ამ აპარატისაგან განთავისუფლებულნი არიან პარიკმახერები (ფართის მიხედვით) და ის პირები, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობენ. ჩვენ გამწვავებისაკენ არაფერი მიგვყავს. ჩემი რჩევაა ოპოზიციური პოლიტიკოსების თამაშებს თავი დაანებოთ და კანონი აღასრულოთ! თუ პარლამენტი განსხვავებულ გადაწყვეტილებას მიიღებს, დამატებით გაცნობებთ.

რაიონის გამგებელი ვახტანგ კერესელიძე–„მე მესმის თქვენი პრობლემები, მაგრამ მინდა გაიგოთ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმით ჩვენი ხელისუფლება ისევ ხალხზე ფიქრობს. თქვენს დიდ მოთხოვნებს მივიტანთ სახ. კანცელარიამდე. მთავრობა და პარლამენტი ალბათ გაითვალისწინებენ ხალხის აზრს. ნუ გავუსწრებთ წინ მოვლენებს".

აქციის მონაწილეები დაიშალნენ, დებატები დარბაზის გარეთაც გაგრძელდა.

**მარინა სვანიძე**

# რაიონული ტურნირები გრძელდება

**შაში**—მონაწილეობა მიიღო 142-მა მოთამაშემ. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

I ადგილი—ჯემალ სალინაძე (ცაგერის სასულიერო გიმნაზია);

II ადგილი—დათო სალინაძე (ქ. ცაგერი);

III ადგილი—გოჩა მუშკუდიანი (ლასურიაში);

**ჭადრაკში**—12 მონაწილეს შორის ასეთი შედეგები დაფიქსირდა:

I ადგილი—ჯემალ სალინაძე (ცაგერის სასულიერო გიმნაზია);

II ადგილი—სპარტაკ კვირიკაშვილი (ჩხუტელი);

III ადგილი—დათო სალინაძე (ქ. ცაგერი):

სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გამოსული მოთამაშეები დაჯილდოვდნენ რაიონული სპორტკომიტეტის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სამახსოვრო პრიზებით და საჩუქრებით.

**გიორგი კვირიკაშვილი**
**რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე**

## ასპარეზობენ ჭაბუკები

ქუთაისში ჩატარდა—ცნობილი ფალავანისა და მწვრთნელის ზაურ შეყილაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო რაიონის მოჭიდავეთა გუნდმა (მწვრთნელი: **ალუდა სილაგაძე**).

ჩვენი გუნდიდან თავი ისახელეს: **თორნიკე ბურჯალიანმა** დაიკავა II (მეორე) საპრიზო ადგილი და **ვანო მახარობლიძემ** III (მესამე) ადგილი.

იმედია რაიონის ჭაბუკი მოჭიდავეები მომავალში კიდევ მრავალჯერ გაგვახარებენ.

**გ. კვირიკაშვილი**
**რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე**

## რაიონის სპორტსმენები ქვეყნის სპორტულ სარბიელზე

### ვეგო ყუჩაშვილი



დაბადებული 1991 წელს, ოჩამჩირეში. ცაგერის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

ვ. დარასელიას თასის გათამაშების ზონალურ პირველობაში ჭაბუკთა გუნდებს შორის მონაწილე ცაგერის „ხვამლის" გუნდის კაპიტანი, საუკეთესო ბომბარდირი. ტურნირის ერთ-ერთი პერსპექტიული მოთამაშე.

მისი მიზანია—გახდეს სახელოვანი ფეხბურთელი.

ჰობი—მოგზაურობა.

## ბრინჯაო ბათუმიდან

ქ. ბათუმში გაიმართა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო რაიონის ნაკრებმა გუნდმა (მწვრთნელი: ალუდა სილაგაძე).

55 კგ. წონით კატეგორიაში თავი ისახელა ზვიად ბურჯალიანმა, რომელმაც მოიპოვა საპატიო III (მესამე) საპრიზო ადგილი და ბრინჯაოს მედალი.

გ. კვირიკაშვილი

# სიბრძნის საგანძურიდან

რაფაელი ყველას ამარცხებდა თავისი თავაზიანობითა და ხელოვნებით, ძირითადად კი თავისი კეთილი ბუნების გენიალობით.

(ჯორჯო ვაზარი)

■ ■ ■

ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ქვეყნად ისეთი, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ.

■ ■ ■

რაც სჭირდება იმაზე მეტი ხალხს თუ არ მიეცა, ადამიანი ხომ პირუტყვად გადაიქცევაა.

(შექსპირი)

■ ■ ■

მაშფოთებს ჩემი რექვიუმი.

(მოცარტი)

■ ■ ■

არც ერთმა ექიმმა არ იცის გატანჯულის სამკურნალოდ ისეთი წამალი, როგორიცაა იმედი.

■ ■ ■

რა მცირე მანძილია სიყმაწვილესა და სიბერეს შორის

(მონტესკე)

■ ■ ■

ცხოვრება უცნაურია, იქნებ მშვენიერიც სწორედ ამიტომაც არის.

■ ■ ■

კაცის ბუნების არსი—მოძრაობაა, სრული სიმშვიდე—სიკვდილი.

(პასკალი)

# მკითხველის შემოქმედება

■ ■ ■

ისევე როგორც გალაკტიონი—
მეც მიყვარს მერი.
ისევე როგორც ნიკოლოზი—
ვეტრფი ცისა ფერს.
ისევე როგორც ჩვენი დიდი
ლადო იტყოდა:
მე ვდგავარ ახლა
საქართველოს სადარაჯოზე.
მკერდით დავიცავ უკანასკნელ
წვეთამდე სისხლის
თავს მოვიკლავ, თუ დასჭირდა
ნამდვილად ვიცი.

**ნიკა ქომეთიანი**
**ბარდნალის საშუალო სკოლის მოსწავლე**

## დედა

წმინდა ტაძარში ხშირად შევდივარ,
დედა!
წმინდა ხატებთან ხშირად ვლოცულობ,
დედა!
წმინდა სანთელსაც ხშირად დავანთებ,
დედა!
თვალწინ მიდგეხარ ყველგან, ყოველთვის,
დედა!
წმინდა ტაძარში, წმინდა ხატებთან
მე სანთლით ხელში
მხოლოდ და მხოლოდ შენზე ვლოცულობ,
დედა!

**თამუნა გიორბელიძე**
**ცაგერის საშუალო სკოლის VIII კლ. მოსწავლე**

# ვულოცავთ!

მაია გოგიძეს, ოთიკო უფლერიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. ქვეყნის ძლიერებისა და ღვთის სადიდებლად ძეთა სიმრავლე არ მოგაკლოთ ღმერთმა. მუდამ სიხარულისა და სიყვარულის ემზეოს თქვენს ოჯახში. ყიჟინითა და ჟრიამულით დამშვენებულიყოს თქვენი ეზო-კარი მარად.

**მერი ბებო, გივი ბაბუ.**
**დეიდები: მეგი, კესო, ბიძები: ლევანი, გია,**
**დეიდაშვილები: ნაცო, ხვიჩა, მარი, ქეთი, კესო, ოლიკო.**

■ ■ ■

ნაირა გერაძეს! ნოდარ ტვარიანს!

გილოცავთ შვილიშვილის დაბადებას, ღმერთმა გაგიზარდოთ და გიბედნიეროთ!

**საფინანსო განყოფილების თანამშრომლები.**

■ ■ ■

თინიკო ტვარიანს! გოჩა ტვილდიანს!

გილოცავთ პაწარა მარიამის დაბადებას. ღმერთმა გაგიზარდოთ სასახელო ქალი. გისურვებთ ბედნიერებას და სიმრავლეს.

**გფარავდეთ ღმერთი.**

თანაკლასელები

## რეზო ჩხეტიანის ხსოვნას

სამმა წელმა გაირბინა შენი უეცარი გარდაცვალებიდან, 23 იანვარს შენს დაბადების დღეს, ისევ უშენოდ შევხვდით.

შენ ყველაფერი იყავი ჩვენთვის—მამა, ძმა, მეგობარი, მზრუნველი და ყველა ლხინისა თუ ჭირის გამზიარებელი, ცდილობდი გვერდში დაგვდგომოდი ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტაში და ჭკვიანური რჩევა-დარიგებები მოგეცა.

ძალიან დააკლდი ყველას, ოჯახს, მეუღლეს, შვილებს, ჩვენც ძალიან დაგვაკლდი, რეზო!

**შორენა მესხაძე**

ბადრი სალინაძე, ამირან ჭაბუკიანი, რომეო მანდარია ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**შალვა სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
თამარ დავითულიანი

პასუხისმგებელი მდივანი
მზევინარ ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
ეკა ბენდელიანი

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის №47 მობ: 899 951678

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის სს „მანდარიას სტამბაში"
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33
ტელ: 70780, 73499